მდინარე აბაშის ჰიდროლოგიური რეჟიმი და წყლის რესურსების შეფასება

საბა ჩაგანავა

ელ-ფოსტა: saba.chaganava640@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

კლიმატური ცვლილებების თანამედროვე ტენდენციები წყლის რესურსების სეზონურად არათანაბარ განაწილებას იწვევს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად წარმოსახავს მდინარეთა ჩამონადენის შეფასების საჭიროებას. მსგავსი ანალიზი აუცილებელია იმისთვის, რომ აუზის დონეზე მოხდეს წყლის რესურსების ეფექტიანი განაწილება სხვადასხვა მომხმარებლებს შორის. ეს პროცესები, თავის მხრივ, წარმოადგენს მდინარის აუზზე დაფუძნებული მართვის ფუნდამენტურ საფუძველს და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წყლის რესურსების გონივრული და სტრატეგიული დაგეგმვისთვის.

წყლის რესურსების ეფექტური მართვისათვის შეფასებული გვაქვს მდინარე აბაშის ჰიდროლოგიური რეჟიმი. კერძოდ, მდინარე აბაშის შენაკადები, საშუალო წლიური ხარჯები, კლიმატი, პოტენციალი როგორც მდინარე აბაშის ასევე მისი შენაკადების. ამგვარი მიდგომა წარმოადგენს შესაძლებლობას შეფასდეს მდინარის წყლის რესურსები და ოპტიმალურად მოხდეს მისი გადანაწილება წყალსამეურნეო კომპლექსის მონაწილეებს შორის.